საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030198442695519

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/15067 **23 / აგვისტო / 2019 წ.**

ფაქტ-მეტრის რედაქტორს
ბატონ დავით გამისონიას

ბატონო დავით,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 15 აგვისტოს შემოსული თქვენი N120 08.08.2019 განცხადების პასუხად, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია 2015-2019 სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის 01 აგვისტომდე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემები სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ არ არის სრულყოფილი ვინაიდან აქამდე მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებდა ორგანიზაცია/დაწესებულებას შეეტყობინებინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისათვის სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ.

გამომდინარე აქედან, გიგზავნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტის და საქართველოს პროფესიული კავშირების მიერ წარმოებული აღრიცხვის მონაცემებს 2015-2018 წლებში, ხოლო 2019 წლის იანვარ-ივლისში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში აღრიცხულ მონაცემებს სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 21 მარტს, ხოლო ახალი რედაქციით 2019 წლის 19 თებერვალს, დამსაქმებელი ვალდებულია ზედამხედველ ორგანოს აცნობოს მძიმე, ფატალური და მასიური უბედური შემთხვევის შესახებ, შესაბამისად დეპარტამენტის მიერ დაზუსტებული სტატისტიკური მონაცემების წარმოება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლიდან.

დანართი: 1 ფაილი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ღონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიო უმიკაშვილი

2015-2018 წლებში სამუშაო ადგილეზე დაღუპულთა და დაშავეულთა შესახებ ინფორმაცია

	დაღუპული	დაშავებული
2015	42	82
2016	58	85
2017	47	106
2018	59	199

2015-2018 წლებში სამშენებლო სექტორში დაღუპულთა და დაშავეულთა შესახებ ინფორმაცია

	დაღუპული	დაშავებული
2015	14	22
2016	18	23
2017	17	22
2018	16	17

2019 წლის იანვარ-ივლისში სამუშაო ადგილეზე დაღუპულთა და დაშავეულთა შესახებ ინფორმაცია

	დაღუპული	დაშავებული
2019	22	51

2019 წლის იანვარ-ივლისში სამშენებლო სექტორში დაღუპულთა და დაშავეულთა შესახებ ინფორმაცია

	დაღუპული	დაშავებული
2019	11	20